საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-02/27

ქ. ბათუმი 18 თებერვალი, 2021 წ.

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ გიორგი მამულაძის სადოქტორო სემინარის (ქვედარგში) შემფასებელი კომისიის შექმნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების", ,,ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 06 აგვისტოს N06-01/44 დადგენილების, ,,ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის ცვლილების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 08 დეკემბრის N01-02/152 ბრძანებისა და ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის ასოცირებული პროფესორის ბადრი გეჩბაიას 2021 წლის 08 თებერვლის N74802 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ გიორგი მამულაძის სადოქტორო სემინარის (ქვედარგში) შემფასებელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) პროფესორი ვლადიმერ ღლონტი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ასოცირებული პროფესორი ბადრი გეჩბაია - კომისიის მდივანი;

გ) პროფესორი ასიე ცინცაძე - კომისიის წევრი;

დ) ასოცირებული პროფესორი პაატა არაშიძე - კომისიის წევრი.

2. დოქტორანტ გიორგი მამულაძის სადოქტორო სემინარის დაცვის თარიღად განისაზღვროს - 2021 წლის 19 თებერვალი.

3. კომისიამ იხელმძღვანელოს „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილებით, ,,ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 06 აგვისტოს N06-01/44 დადგენილებითა და ,,ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის ცვლილების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 08 დეკემბრის N01-02/152 ბრძანებით.

4. შესაბამისმა დარგობრივმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს სტუდენტის ინფორმირება.

5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ფაკულტეტს, ფაკულტეტის დეკანს,

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელსა და კომისიის წევრებს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**